


სოფო ლონდრაძე

გული, ბუმბულიც ცემს

შექმედი



2015

სოფო

მედიკოსებს უხდის

ბგანება დეიდებს

და

მანუხარ ძიებს

ISBN 978-9941-0-7623-7

UDC (უაკ) 821.353-1-1

ლ - 833

ჩემი ბიოგრაფია

მე, სოფო ლონდარიძე, ვალერიანის ასული დავიბადე ქალაქ თბილისში, 2004 წლის 31 მაისს. მყავს დედა, მამა და ერთი ძმა. ძალიან მიყვარს თითოეული მათგანი, ბედნიერი ვარ, რომ მათთან ერთად ბედნიერ ბავშობას ვატარებ. მინდა, რომ ჩემი კარგი სწავლით გავახარო ყველა.

4 წლის ასაკიდან ვსწავლობ ბავშვთა ხელოვნების სტუდია „გალაში“. მადლობელი ვარ ქალბატონ დალი მესაბლიშვილის და ჩემი ყველა პედაგოგის, ისინი დიდ შრომას დებენ თითოეულ ბავშვში. მონაწილეობას ვიღებ ბევრ სპექტაკლში რომელიც მარჯანიშვილის თეატრის სხვენში იმართება.

2010 წელს დავიწყე სწავლა ქ. თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში. პირველივე დღიდან შემიყვარდა სკოლა, მასწავლებლები და ჩემი მეგობრები. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ქალბატონი თამთა თოდუა. მისი დამსახურებაა სწავლისადმი ჩემი დიდი სიყვარული. 8 წლის ასაკიდან ლექსების წერა დავიწყე. ძალიან მიყვარს წერა და კითხვა.

ულრმეს მადლობას ვუხდის ჩემი სკოლის დირექციას, ჩემს მაშინდელ და ახლანდელ პედაგოგებს იმ სიბოძისა და სიყვარულისათვის რომელიც მათ მაჩუქეს. მე მჯერა რომ გავახარებ მათ გულებს და ვასახელებ ყველას.

„მე რხლად რა გდრ
მე ჩემს ლექსეობინ
ერთად დავდინებ...“

სოფი

ლონ

არ გვინურია გადაშენება

ასეც მოხდება, რომ ეს ამბები ზღაპრის ფერია,
ეს მოგონებაც მინდვრის ფერია,
და ეს სიტყვებიც განთიადს გვანან,
და ეს ცხოვრება ბეწვის ხიდს ლამბავს.
და ეს სიტყვაც კი წამიერია,
და ეს ალერსი არის ხანებით,
თუ არ გენებოს ამისთანები,
და თუ გრცხვენია გენაცვალები.
და თუ ეს ფიქრი არის ხმალებით,
და თუ ოძია ჩირაღდანებით,
და თუ ღირსება ამის მსგავსები,
და თუ ოცნება განდაგანებით.
და გულის სურვილს როცა აიხდენ,
და როცა გულით სანთელს აინთებ,
ის გული მაშინ იქნება ელვა,
არ გვიწერია გადაშენება!

06.02.2013

გადაჭროლავს

გადაჭროლავს, თუ ეს ამბავი
ყველა დასცინის, ეს გულწარმტაცი
და თუ ეს ცოდვა ვინმეს ამძიმებს,
მაშინ არ იყოს ღუღუკი, არ იყოს ამისთანები.

მაშინ არ იყოს თამადა
და შავი ღვინო მთვრალეებით,
და ეს ღრუბელი გაშლილი,
არ იყოს ამისთანები.

და თუ სამშობლო გავწირო,
მეტი რაღა მაქვს სათქმელი,
მე კი არ ვიყო ქართველი,
ქართველი მამა-პაპანი.

03.12.2012

აღმაფრთოვანე

აღმაფრთოვანე, ამაღლებული ნაბიჯით,
აღმაფრთოვანე, ჩვეულებრივი მანდილით,
აღმაფრთოვანე, სიყვარულივით წადილით,
აღმაფრთოვანე, ახალი სიტყვის სარივით.

გადამასწორე ალაღბედად და სატანჯველად,
რალას მერჩოდი თუ სიყვარულის არა გწამს,
გადამასწორე ალაღბედათ სანთელივით.

სადღა მიდიხარ, თუ აღარ გინდა ხატით.

ვიცი აღარ გწამს, არც ქართველისა, არცა ხატისა,
არცა ღმერთისა, არცა ქართლისა აღარ გწამს აღარცერთისა,
დროს ვერ ვაჩერებთ იცი შენ?! სიყვარულს ებრძვით
როდემდე?

მანტერესებს სად ხარ? საიდან სადა მჯეროდეს?

გადაშენებულ ქალაქად, ქალის მანდილი იწვოდეს,
მზის სინათლეზე ნაძრახსა, აქა-იქითა დნებოდეს,
და სინანულის დაკარგვის, ეშინოდეს და კვდებოდეს,
სანამ სიცოცხლე სისხლში გვაქვს, დავტკბეთ

მანამდის, მანამდე,

როდემდე იყოს ტკივილი, სიცოცხლის ბოლო სუნთქვამდე,
არ დაილიოს ქვეყანა და საქართველო წამოდგეს,
როდის იქნება მარჯვენა, სიცოცხლით მრავალ სტუმრამდე.
იხარე, ბიჭოვ მარჯვნიდან, ქალის მანდილსა აჯობე

29.01.2013

საქართველო

მეფე ერეკლე, მეფე ვახტანგი,
მეფე თამარი, მეფე დავითი,
ყველა ცდილობდა დაეცვათ ქართლი,
გამოუვიდათ ვითარცა ღვაწლი.
სამეფო უნდოდ ტფილისს ენახა,
ვახტანგის მტრებმა და ნახეს კიდეც,
თამარმა კია ვარძია გვითქვა,
ვით ჩვენი გული და გვისაჩუქრა.

15.02.2014

ქართველი ქალი

ეხევა კალთა, ვარდისფერ მანდილს,
სისხლიდან სისხლში გადადის წამი,
წუთები ერთვის მოდრეკას წამის,
ვით მონუსხული იდრკება ვარდი.
ოჰ, უსასრულო არის ლოდინი,
წვეთები დადის ნაღვლიან ღამით,
სასტიკი ბრძოლა, სასტიკი დარდი,
მიდის და მიაქვს ქართული ხმალი.
სევდის ნატამალს ერთვის და ებრძვის,
სამოთხის ბაღი, ჯოჯოხეთის კარი,
აღმასის თვალი, გულის ნაბადი,
სიზმრად შემოსავს ქართველ ჯარისკაცს, ქართველი ქალი.

22.02.2014

საქართველოს დროშის ქვეშ

საქართველოს დროშის ქვეშა
სამეფო და ღმერთის კალთა,
დაგვიფარავს მზე და მიწა,
ვით სიხარულს ვაი ვაგლახ.
საზრდობ და ჩემო წმინდა
შენს საყვარელ მიწას ვფიცავ,
ვილოცებ და კვლავ დაგიცავ,
ოდეს მაინც გეტყვი ამას.

01.04.2014

ქართველთა რწმენა

მუდამ იცოდნენ რას გრძნობდა ელვა,
მუდამ იცოდნენ ქართველთა რწმენა,
მუდამ იცოდნენ აღდგომის ზარი,
და რწმენა ქართლის,
წმინდა ნინომ როგორ მოიტანა
ეს რწმენა ქართლში,
და როგორ იშვა ბაგაში ბავშვი.

22.08.2014

ღმერთმა თუამც...

სიცოცხლით სავსე წუთისოფელით,
გადამტერებს ყველას სად მიდის.
ის ხომ გაიგებს სადღა გავივლით,
და თუ რამეა ვალებს დასცინის.
ყველა კარგად ვართ გულის მალეებით,
იყო და არა იყო რა, საქართველოსი იყო ამბები,
მე გადავფურცლე და წავიკითხე ბევრი ხანები,
ეჰ, სადღა ვიყავ, აქა, ამჯერად საიდან ცდილობ
შენი ცოდვების მონანიებას.
მე ლექსს რომ გიწერ ცოდვებისადმი,
ბუნებამაც კი გაღიხადა ყველაფერი.
არიან მათ სიცოცხლისვე სავსები,
და არიან თვალებრ ციციანათელის.
ღმერთმა თუამც მოინდომოს ნამქერი,
ავგისტომი გადასუფევს ტალღები,
ღმერთმა თუამც მოინდომოს ტალღები,
იანვარში გადასუფევს ნამქერი.
საყვავილე გაივსება ვარდებით,
ზაფხული კი გაივსება ტალღებით,
სიყვარული გაიზრდება ხანებით,
და ეს გოგოც გაიზრდება ჭადრებში.
სასანთლეო გაივსეო სანთლებით,
ეკლესიავ გაივსეო ხალხებით,
სამარილევ გაივსეო მარილით,
შენ კი ხეო გაივსეო ატმებით.
განისვენე ისე ტკბილად ხანებით,
სასაფლაოვ, დაიცალე დარდებით

აღარ მოკვდეს ქვეყნად აღარც არავინ,
გავიხაროთ ქვეყნად არის სამართალი.
დრომ გადაჰქროლა და სიტყვის წვიმა გახლდათ
სიცოცხლის იყო სარკმელი,
სარკმელთა ბუდეშ ნაწვალმა.
სადღეღამისო არის ქვა,
მედღეხვალზე არის კაცს,
გულშელახული გულისხმა,
შეგარდენივით მახსოვს სხვა.

05.09.2014

ღმერთისგან მოდის

გადიწკრიალა თეთრმა ვარსკვლავმა,
სევლა მოღრეკა წვიმისა ნებაჲ,
აღსტაცა გული, აღსტაცა ბევრმა,
გაიპო ცა და სხივები სტყორცნა.

ადამის ცოდვის, ლექსები ყოვლის მამათა ხორცის,
ვარდიდან ვარდში, სისხლიდან სისხლში წამები ცივი,
მოღრეკილთ წამი, რუსთველი, ანა, ლადო, აკაკი,
ეს ყველაფერი ღმერთისგან მოდის.

15.04.2014

პატარა სიზმარი

და თუ ეს პატარა, პატარა სიზმარია,
და თუ სადმე არის, ნეტავ გვიანია?
თურმე დამიკარგავს, იცი მინანია,
უკვე გვიან არის, იცი რა ბნელია.
იცი მის თვალებში ბინდი ურევია,
თურმე ღმერთმა, ღმერთმა შეისმინა დარდი
და ლოცვად მიიღო მისი ცრემლი სანთლით.
თურმე ასე თქვესო, უკვე გვიანია,
არა! არა მჯერა, მე ხომ მიხარია.
იქნებ ვინმემ, ვინმემ უდარდელად
გაიცინოს ნაზად, არა უცაბედად,
ძალიან გთხოვ ღმერთო, ყინულ არ მოიცივა
იმ ჩვენს გულში ისევ, ისევ გაივარდოს.
ისევ გაიღიმეთ, რა გჭირთ ხალხნო, ხალხნო...
იქნებ ჩვენმა ერმა ისევ გაიმარჯვოს,
კვლავ მოვაწყვით რბოლა, გაიღიმეთ ხალხნო
თურმე არ იცინით, მინდა რომ გაგართოთ.
იცით როგორ არა, როგორ არა, მინდა
თქვენსა გულში ისევ, ისევ რომ იზამთროს.
წყენა დაივიწყეთ, ა ხლა მომისმინეთ,
ისევ გაიღიმეთ, აი ასე, ისევ...
თურმე ბედისწერამ ასე მოგვაკვლინა,
ჩემო ღვთისმშობელო, ღმერთო რას არ იქმან.
თურმე ვარდი უწყლოდ არა იფურჩქნება,
თურმე ფრანი უქროდ იცი იფუშება,
თურმე ბავშვი უდედ ისე იდარდება,
თურმე წყენის ქარვებ ქარის გასატანად.

თურმე გალავანი უმეფ იძირება.
ეჰ, თქვენ იცით რა გადამხდა წინათ,
მე რომ თან ვიარე, ღმერთო სიზმარ სიზმრად,
ზოგი დარდიანი, ზოგიც იყო გვიან.
და თუ ეს პატარა, პატარა სიზმარია
ჩემო ღვთისმშობელო, ღმერთო რას არ იქმან.
ბევრი წიგნი, ბევრი ნისლი
ცოტა დარდი, ცოტა ბრაზი,
ეჰ ვინ მოიგონა? ანამ, ლადომ, ვაჟამ
გალაკტიონმა თუ იქნებ ვიდაც სხვამა
არის თუ არ არის ნეტავ რწმენა ქართლის,
ნეტავ იქ თუ არის ბევრი ვარდი, ბევრი ვარდი.
და თუ ეს პატარა, პატარა სიზმარია,
ჩემო ღვთისმშობელო, ღმერთო, რას არ იქმან.

20.01.2013

იქნებ სადმე...

იქნებ სადმე მოიპარეს ვარდები,

იქნებ სადმე არის ქვეყნის დარდები,

იქნებ სადმე გადათელეს ყანები,

იქნებ სადმე არის ბევრი ხანები.

იქნებ სადმე დაიღვარა სანთლები,

იქნებ სადმე არ დარგულა ჭადრები,

იქნებ სადმე სისხლის გუბე ხმალებით

იქნებ სადმე არის ჩვენი ხატები.

იქნებ სადმე გული იყო ზღაპრების,

იქნებ სადმე წყალი იყო წვალების,

იქნებ სადმე ვილაც იყო მართლებით,

იქნებ სადმე არის სევდის თვალები.

ვილაც იყო იქნებ მისი ხმალებით,

ვილაც მოგვსდევს იქნებ ვისი ბრძანებით,

ვილაც არის, იცი ჩირაღდანებით,

ვილაც სევდას მიაქანებს სვაკებით.

იცი, მუდამ მიფიქრია მალეებით,

იცი, მუდამ რომ არ იყო სანთლები,

იცი ვილაც დაიკარგა ჭალებში,

იცი, თურმე არის ვილაც სამების,

თურმე არის ასის მეტის თუ არა,

თურმე გული სიკეთისკენ მიუბრუნის,

და სიყვარულს ამარჯვებინებს მარად,

იცი, მას რომ ღმერთი ჰქვია ყოველის.

10.01.2013

ნუ გეშინიათ

სიცოცხლის ნუ გეშინიათ,
ღმერთი ხომ ყველაფერს ხედავს,
გული გეტკინა, მაგრამ
ღმერთი ხომ ყველაფერს ხედავს.
სიცოცხლის ნუ გეშინიათ,
ჭირი და ღზინი,
ერთგულება და ღალატი,
სიცოცხლის ნუ გეშინიათ.
სიცოცხლის ნუ გეშინიათ,
ღმერთი ხომ ყველაფერს ხედავს,
თუ აგეტირა, ნუ ნაღვლობ,
ღმერთი შენთან გყავს მუდამ.

16.01.2013

ზოგი იმდენად ბევრია

მარტო გალობით დამწვარი,
დნება და დნება ერია,
სიცოცხლის დიდი საწუთრო,
ზარები რეკენ დნებიან.

ერთსა და გულის ფრთიალი,
საზრდობით ხომ ერთია,
აქეთ ზარების ჩხარუნი,
აგერ სანთლები დნებიან.

ზოგი ერთია, ზოგიც კი

ზოგი იმდენად ბევრია.

ერთიც ახსენა სარდლობამ,

და გულთან სულის ფერია.

მიუშვა გულის ოცნება,

სინარულს ებრძვის ჭერია,

ზოგი ვარდებში სინარულს,

ზეიმობს ქართლის ერია!

05.06.2014

ჩემს ქუჩაზე ერთი ცხენი

ჩემს ქუჩაზე ერთი ცხენი მიჰქროდა და აჭენებდა,
მიაქანებს ვიღაც კაცი, მდიდარია ალბათ რიო,
მისთვის ერთი ნაგლეჯიც კი, არავის არ ემეტება,
და ცოდვილი კაცის გული, ისე ფეთქავს როგორც სიო.
მემეტება მისთვის ერთი ნაგლეჯი,
მაგრამ მე როს გამიშვებდნენ მასთან,
მე ხომ ყოველ საღამოსა მისსა გულსა ვიგონებდი.
როგორც თეთრ რაშს ნამში, მიაქროლებს ახლა.

ვიღაც კაცი ისეთ სახეს მიჰგავს,
თითქოს მკვდარსა მომაგონდა, ჩემი თეთრი ცხენი,
როგორ ჰგავდა თოვლის ფიფქსა ლამაზს,
თოვლის ფიფქი ჩამოცვენილ ციდან.

ჩემს ქუჩაზე ერთი ცხენი მიჰქროდა და აჭენებდა,
თითქოს ვინმეს მტერი იყო, არავის არ ანაღვლებდა,
მოჰკიოდა ცაში ზევსი, უსამართლო ყოველის,
არ ეგონა მის სამშობლოს ასეთი რამ მოეღის.
ქვეყნად წმინდა მარიამი, მაგონდება როგორც ლხინო,
ჩემო ქართლო, ჩემო ქართლო, თუ ოდესმე დაგივიწყო:
მაშინ მე არ ვიყო ერთი,

რომლის გული საქართველოს ლხინში ღირობს.

ჩემს ქუჩაზე ერთი ცხენი მიჰქროდა და აჭენებდა,
მაგრამ მასზე ცოდვილ კაცი, იმდენი კი მეგულება,
თვალს რომ თვალში უსწორებდნენ, თითქოს ვიღაც დაივიწყო,
თითქოს ვალი იყო მასში და არავის მოსცხო ჩირქი,
მაშინ მე თუ ვსტყუი ქართლო, მე არ ვიყო შენი ხმალი,
არ დაგიცვა ბრძოლის ველზე, როგორც თამარ ვაშლოვნელი.
„საქართველო ცის ფერს გავდა, ფერი მათი მერანის”

თითქოს მასში იყო დიდი, ქონება და ვერანი,
იყო ქართლის მახლობელი, როგორც ჩემი გელათი,
როგორც ერთი მოსმის ხელით განადგურდა ვენახი.
ყველა დიდმა დაიბარა მისი, თვისი მხლებლები,
პატარა კი დაიჩაგრა როგორც ხდება იგავში,
ჩემს ქუჩაზე ერთი ცხენი მიჰქროდა და აჭენებდა,
თითქოს წამის გასვლის ნება მხოლოდ მისთვის იწურება,
ღმერთმა სამართლისაკენ კვლავ გასწია როგორც უწინ,
და ის არის გადარჩენა ვისაც გული კვლავ უცემდა,
უსამართლომ გულის ცემა, თავის გულში ვერ იპოვა,
სამართალმა უმიზეზოდ ბევრი გული მოიპოვა
ჩემს ქუჩაზე ერთი ცხენი მიჰქროდა და აჭენებდა,
სანამ გულის დაქანცვამდე, სულის ლტოლვას არ ეძებდა.

22.07.2014

რომ ჩაგიხტებათ

არ არსებული არის ოცნება,
გონებაშია კვლავ დახატული,
დახატულია ლამაზ ფერებად,
თვით გონებაში ამორეული.

ცა სხვა ფერია აღარ ჰგავს ზეცას,
თითქოს ღრუბლები ავიდა ცრემლად,
ცრემლად ავიდა ლამაზი ხატი,
ძილმორეული და არეული.

მაშინ არავის ახსოვდა ქვეყნად,
არარსებული ოცნების ნება,
და თითქოს ღმერთი უსმენდა ამბავს,
კვლავ აურია ბინდი და ბუნდი.

კვლავ გაბრწყინდება ჩვენს გულში სვეტად,
აბიბინდება, როგორც ბაღნარი,
და აჟღერდება ისევე არფა,
როგორც ქნარი და როგორც არღანი.

თუ გაიფურჩქნა ტყე-ველში ვარდი,
კარგის ნიშანი ნუ გეგონებათ,
მაშ ერთი ნახვით არარსებული,
ოცნება გულში რომ ჩაგიხტებათ.

სიზმარს უთხარით:
გვინდა ოცნება,
სანამ სიზმარი
გამოფხიზლდება.

30.07.2014

ლოდინი

განთავსებული გულის ლოდინში,
გულის ლოდინი რას ეწოდება?!
გულის ლოდინი წოდებთა შორის,
როცა ელოდი და აღარ მოვა...

გულის სიბრტყეზე, გულის ლოდინი,
მზეს სდომებია კაშკაში მუდამ,
გულის ლოცვა და გულის ბოდიში,
გულს ბევრი უნდა სიცოცხლე მუდამ.

განთავსებული გულის ლოდინში,
გულის ლოდინი რას ეწოდება?!
გულის ლოდინი ოდიდგან მოგვსდევს,
როცა შენ გსურდა და მიგატოვა.

თრთოდი ზამთარში მყინვარე უმაღლ,
გულიც გაყინვას ებრძოდა მუდამ,
თავისუფლება სწყუროდა გულსაც
და შენც ასევე იყავი აქვე.

მზე როცა ჩავა, მთვარე ამოვა,
ის გადასერავს ნამიან მხარეს,
და ბოლო, იმის მიმნიშნებელი,
რომ ის მოკვდება, ვინც კვლავ იტანჯა.
და ის კი მაინც ვერ გაიხარებს,
სულით ხორცამდე...გულით ლოცვამდე...
როცა სიცოცხლე გწყუროდა მაშინ,
და მიგატოვა მაშინვე ცაში.

13.09.2014

ვარდები

თეთრი ვარდები წითლად აქციე,
იცო, სათოვლედ გადააქციე,
იცო, ყვავილი ცრემლად აქციე,
და სევდა იცი?! სეტყვად აქციე.
ეჰ, თურმე იცი?
დიდია თოვა,
და ქრისტიანთა
ჯვარცმის დღეობა.

23.06.2014

გულის ტეხილებს

სევდა აწვება გულის ტეხილებს,
გრძნობები ფიქრებს აწვება მარად,
და საგანძურებს ებრძვიან ისევ,
ვით გაზაფხულებს ეწვევა ფარდა.
თითქოს სიცოცხლე მობეზრდათ იქვე,
და მიატოვეს საკუთარ კალთა,
თითქოს საერთოდ აღარ ჰგავს სიბრძნეს,
საწუთროებას ეხევა ლამპართ.

28.02.2014

ღამე და ზღვა

ცაზუა ერთი ვარსკვლავი
ციმციმებს და ათეთრებს ზღვას,
თოლია გამოფრენილა და ის შესცქერის მას,
ჩაიძირება ალბათ თოლია და ზღვა წაიღებს თან.

და ზღვის ნაპირი მარტოა ღამით,

მას თავს დასციმციმებს ცა,

ხანდახან ერთი ან ორი,

მიდის და უყურებს მას.

ღამით ცაზუა ერთი ვარსკვლავი,

და ისიც თეთრად მოჩანს,

ღამით ზღვაზეა ერთი თოლია,

და ისიც ნაზად ხრის თავს.

23.01.2013

სევდის ნატამალი

ყვავილთ თეთრი გუნდი ჭკნება,
სევდის ნატამალი სუფევს,
ვარდი ვარდობასა კარგავს,
სევდა სევდობასა უძლებს.
ფიქრი იფანტება მაღლა,
ზეცა გაიშლება მარდად,
მზესა გადაფარავს ღრუბელთ,
ღრუბელთ გადაცურავს ზღვათა.

16.02.2014

მზიანი ღამე

მზე ანათებდა ჩვენთვის ველებზე,
თურმე ზაფხული აღრიანია...
მზისა სხივები მოდიან ტყე-ველს,
თურმე ეს დარდი აღრიანია...
 გვალვა ეს არის?! ვით სიზმარია
 და ხელგაშლილი რტოები წვიმის,
 კალაპოტს გამოსდებია...
 და ზღვისთა, მზისთა, და გული იქმან
ვით გული სული აღრიან დღისა.
ზღაპრები ითქმის, ვარდები ითრთის,
ფოთლები სცვივის, ჭადრები იწვის...
ლეგენდა დადის კაციდან კაცში,
 გულიდან გულში, მოღვაწთა სულში.
მაგრამ ღამე და ზეცა ერთ იყო,
ვიღაც ოცნებობდა მზეზე,
და იყო სიზმარი ჩემი ეს დღე.

30.01.2013

იასამნები

ჩემს ბაღში არის იასამნები,
იცე როგორი? თითქოს ყველაფრის სჯერათ,
მერცხალი მიდის თითქოს,
ზამთარსა ებრძვის ვითომ.

იასამანიც ქრება თანდათან,
და ეს სიცოცხლეს წავიდა თითქოს,
ეს იისფერი ალბათ მადლია,
წითელ მზესავით თან რომ ანთია.

ჩემს ბაღში არის იასამნები,
იცე, რომ თითქოს ყველაფერს იგრძნობს,
თურმე სევდას ფლობს,
და ისიც ცოცხლობს.

09.01.2013

ელვა

ეს ელვა წამიერია,
ეს სიტყვა როგორც ერია,
და ეს დუმილით აღსავსე,
ჩვენი ერია, ჩვენი ერია.

და ეს ქუხილი, გავარდა მენი,
დაემსგავსება ეს მენის ტეხილს,
და როცა ჩვენი გენია,
ჩვენი გენი კი ერთია...

21.12.2013

ძალა

რაც არ უნდა გქონდეს ძალა,
რაც არ უნდა გქონდეს ნიჭი,
რაც არ უნდა შეეფერება გავლეს,
რომ სასახლეს გქონდეს დიდი.
 ღმერთის არ გწამს! ღმერთის არ გწამს!
 რაღა გინდა მეტი ჭირი,
 თუ სიცოცხლეს გინდა მყისვე?
 რომ ასევე გქონდეს ხიბლი.

06.01.2013

მოხუცი

არვინ არ მოუვლის მოხუცს, თმაჭადარას,
არვინ დაუყვავებს ისევ ანაბანას,
არვინ დაუფასებს სიტყვას, ნატანჯე წუთად,
ისრებს მიაქანებს სევდის ანაბარა.

არვინ არ პატრონობს მოხუცს, არ სჭირდებათ,
სიტყვის ერთი წამი მალე იწურება.
არვინ რომ არ აჭმევს ცოდო არ არს წამი,
უცოდვილო გრძნობით დასაღლედი დარდი.

28.07.2014

სიბერე

ყველა ვბერდებით ფიქრების გარდა,
და შეიძლება ისიც ბერდება,
ყველა ვბერდებით სამყაროს გარდა,
ვინ იცის იქნებ ისიც ბერდება.

რა შეიცვალა ამ დაბერებით,
გული ხომ ისევ ფეთქავს მზიანად,
რა შეიცვალა ამ განშორებით,
არც არაფერი, გულთა იარა.

გულის პირბადე სიბერემ მოგხსნა,
და გადააგლო ზღვაში იარა,
რაც უნდა ექნა ის ვერ შეგცვლიდა,
რათა ის იყო გულის იარა.

ყველა ვბერდებით ფიქრების გარდა,
და შეიძლება ისიც ბერდება,
ყველა ვბერდებით სამყაროს გარდა,
ვინ იცის იქნებ ისიც ბერდება.

11.09.2014

ზღაპარი

არს გულისჭირის საგანძურის დიდი წამება,
ღვთაება სულთქმას

მისსა კუნჭულს დაემსგავსება.

ზღაპარში ყველა კარგი რამ ხდება,
სიზმრიდან ცხადში ნეტავ ახდება?!

ფოთლები ცვივა

ქარში ფარფატებს,

ფოთლებს ეს ქარი

თეთრ ფიფქს ამსგავსებს.

06.08.2014

ნუ შეგშურდებათ

თუ ამ წუთებით გადარეული,
ხანში შესული არის წყვილიაღი,
და სასაფლაო მოდგმის წესებით
არის კეთილი და ქრისტიანი.

მე კვლავ გპირდებით
რომ ბედთან მტრობას
არ გაპატიებთ
არც მკვდარი კაცი,

ნუ შეგშურდებათ
ნურვის სიცოცხლის,
რადგან ტრიალებს
ბედის ბორბალი

ზოგჯერ უკუღმა
და ზოგჯერ წაღმა,
ჩვენი სიცოცხლე
არს ნატვრის თვალი.

16.08.2014

კაცი მართლებით

იცო, რომ ლექსი იწყება ტექსტით,
იღევა ბედით, ირევა წლებით,
დროები მიჰქრის, საიდან იტყვის,
იქნებ სიტყვებსაც იცვლის,
და გულის დარღებს ითვლის.
თუ ეს სისუსტე, თუ ეს ხატები,
კაცი ქართველი,
კაცი მართლებით.

იცო

იცო, რამდენი სვაგია ცაში,
იცო, რამდენი ტალღაა ზღვაში,
იცო, რამდენი რწმენაა გულში,
იცო, რამდენი თოვლია გუნდით.
იცო, როგორი ღრუბელი კრთება,
იცო, როგორი ყვაავილი ჭკნება,
იცო, ერთ დღესაც აყვავდა ნუში,
იცო, მას შემდეგ ითოვა გულში.
ეჰ, რომ სადმეა ზაფხულის ყანა,
ეჰ, რომ იწვიმა და გადაიღო,
ეჰ, სადმე თუა ბევრი ვარდები,
რომ ამ სევდასაც მოუღოს ბოლო.

გული და ტკობა

ვარდისფერია სანთელის წვეთი,
წვეთი, რომელსაც სიცოცხლე უნდა,
ქუჩაში არის ერთი გოგონა,
გოგონა, ვისაც დედა მოუკვდა.
მონატრებაა ჩვენი საუნჯე,
მონატრება და ქართველთა სულთქმა,
სიმფონია და კვინტეტის ღამე,
გული და ტკობა, ვარდების სარკე.

14.02.2014

ზღვასთან განშორება

მივდივართ და თან გშორდებით ზღვაო,
მე ვენაცვალე შენსა ტალღებსა,
ორმტრიალი გადის ბრიალით,
სულის შფოთვაა, წასვლა არ მინდა.
 მოგვენატრება შენი ტალღები,
 მე, დალიკოს და გუკას,
 იმედს ვიტოვებთ, რომ კვლავაც ვნახავთ,
 შენს ტალღებს და მზის მთრთოლვარე ჩასვლას.

11.08.2014

გალავანი

მეფის გალავანს შეჰყურებს,
ქალი მოხუცი, ხნიერი,
როცა გაუღეს კარები
მაშინვე გული იხარა,
მაშინვე წელში იმართა,
მაშინვე ასიათასი,
მადლობა მეფეს მიართვა.

17.01.2013

გულწარმტაცი

როგორც სინანული,
როგორც მწუხარება,
როგორც სიყვარული,
როგორც მონატრება,
მაგრამ მაინც წვიმს,
ეს ქარიც ქროლავს,
ეს გულწარმტაცი
დღე ბოდავს, ბოდავს.

12.01.2013

სიზმრად გნახე

სიზმრად გნახე,
თეთრ სამოსში დამჭკნარი,
იცვი? მინდა აგარიდო,
თოვლით თეთრი ზამთარი.

შენთვის მითქვამს რომ დამჭკნარსა ვარდებსა,
ჩემთვის მუდამ, დედოფალის ნიბლი აქვს,
და ის ვარდი
ჩემთვის მუდამ ტკბილია...

03.01.2013

მიყვარხარ

შენ როცა ჩემთან ხარ არაფერი მიჭირს,
არაფრის მეშინია, გამბედავი ვხდები,
მაგრამ, ვერ ვხვდები გულის შეკითხვას,
და ეს პასუხიც არ არის სწორი,
შენ გული მატკინე რაღაც დროებში,
მაგრამ მე მაინც მიყვარხარ მუდამ,
მე შენს სიყვარულს ვერასდროს ვივიწყებ,
და თუ ვივიწყებ, ესაც ცაში ვარ ღმერთთან...

23.07.2012

ვფიქრობ

ხანდახან, როცა ქუჩა წაუღია
თოვლისფერ ფანტელს,
მე ვფიქრობ მათზე, ვინც გარეთ ღვანან,
იყინებიან, სცივათ.

ვისაც სახლი აქვს, ალბათ,
ბუხართან ითბობენ ხელებს,
ზოგი შიმშილით კვდება,
ზოგიც კი საჭმელს ეძებს!

04.12.2012

ცხოვრება

და, ეჰ ეს წამი, და, ეჰ ეს გული,
ისევ ფეთქავს და ისევ ბევრია,
მაგრამ ცხოვრება
მანც ძნელია ...

როცა...

და როცა თოვლსა წაუღია თეთრი ზამთარი,
და როცა ქარსა წაუღია გადანაქროლი,
ქარსა და თოვლსა წაუღია ჩვენი ზამთარი,
ჩვენი სისუსტე, ვხედავ სად არის...

13.12.2013

თავს შეგაყვარებს

მუდამ სატირელი, და უმფარველი
მუდამ ერთგული და სათნო,
თავს შეგაყვარებს, ვით ენა ქართული,
და სულ გულისთქმას გაჰყევი ამბობს.

16.01.2013

ბევრზე ბევრია

იასამანი ალბათ ბევრია,
ბევრზე ბევრია თითქოს,
საიდან იცის, მეჩურჩულება,
თითქოს დახმარებას ითხოვს.
იასამანი ქვეყნად ბევრია
და ბევრ სისუსტეს იპოვს,
ის ჩემ ენაზე ალბათ ერთია,
და იმ სიფრთხილეს ითხოვს.

23.01.2013

ახალი წელი

ამ ნაძვისხესთან ანთია სანთლები,
და კვლავ ცეკვავენ ლამაზად ბავშვები,
სიცოცხლის წუთებს ანთხევენ მასში,
და გულის სურვილს უთქვამენ ცხადში.

01.01.2013

უფალო შეგვიწყალენ

არემარე განწმინდულა,
თითქოს ობლად ტირის ჩვილი,
თეთრი ფიფქი ჩამოვარდა,
ვით ეს გრძნობა ღვთაებრივი.
ერთადერთი არის ყოფა,
თითქოს მზემ თქვა კაშკაშით.
უფალო, შენ შეგვიწყალე
ჩვენ, ცოდვილი გლახაკნი.

10.08.2014.

დილა

შენით თენდება დილა,
შენით ღამდება ღამე,
შენით ილევა წამი,
შენ ჩემო მზე და მთვარევ.

24.08.2014

სიცოცხლე

მაღლითა მტრედი აფრინდა,
დაბლითა გველი სრიალებს,
მდუმარე არის კაცითა
სულს ნაზად დაატრიალებს.

მზეს შეხედავენ ალერსით
როგორც მწყურვალე წყალსა ინატრებს,
რაც უნდა გულით ეცადნონ
ერს ქართულს ვერ გაგვეყრიან ჩვენ.

ნეტავ, საიდან იჩქარის
ჩქარია მატარებელი,
გული ეძახის მზიან დღეს,
და მოდის სეტყვის ძახილი.

გული ფეთქავს და კვლავ აფეთქდება
სანამ მოუსმენს მთვარიან ღამეს,
სანამ მოუსმენს მთვარიან ღამეს
და წვიმის წვეთის გულის ხიფათებს.

თუ მზეს შეხედავ
და არა მთვარეს,
შენ კვლავ შეიგრძნობ
სიცოცხლის წამებს.

14.03.2015

არსება

არის არსება- ყელმოქარგული,
არის ღვთაება-გენიალური,
მზემ კი შესძახა-ალერსი მინდა,
მაგრამ მის ნება ვერაფერს ცვლიდა.
ქარტეხილები ანგრევდნენ სანთლებს,
ამბობდნენ და თან ესვროდნენ ფანტელს...
რაც უნდა გენიალური შენ დაგებადოს ღვთაება,
იცოცხლე სინანულამდე, სანამ გეყოფა არსება...

13.03.2015

თოვს

მე მიყვარს თოვს...
მე მიყვარს ის,
რაც ვერ შეამჩნიეს,
ვერ დაინახეს...
ველარ შეცვალა
ალერსი თოვსმ,
და იმის შემდეგ
გამწარდნენ აგრე.

მე მიყვარს თოვს...
მე მიყვარს ის,
რაც ვერ შეამჩნიეს,
ვერც დაინახეს..
შავში რეული
გამწარდა ღამე,
და შეაჩერა
ღრუბლებში მთვარე.

თოვსც შეჩერდა
და ბინდი, ბუნდიც,
ხანში შესული,
გადარეული,
გულის სიწრფელეს გადმოვარდნია,
ნეტავ რა არის? ნეტავ რა არის?
ღამეა?! მთვარე?!
თუ სიზმარია?!

16.03.2015

გავფრინდებით

ხანდახან შიში, უსამართლობა
დაისადგურებს - ქვეყანას თოვთა,
ხანდახან არის უსამართლობა,
ყველა ენაზე ზიზღი და კრთომა.....
უსამართლობა ნისლია მზისა,
და უტიფრობა კვამლია ცისა.....
ადამიანის მოყვარე სული და
სინანული გლეხი კაცისა.....
ხან წუთისოფელთ უსამართლობა,
გადაისერავს ცრემლიან მხარეს,
ხან ?! თუ ყოველთვის როცა სიმართლე
არაი ფასობს და არც იფასებს.
ხან უსამართლო არ დაისჯება,
ხანაც ჭაბუკი გამოიზამთრებს,
ხანდახან არის მწყურვალე კაცი,
რომელიც სიზმრად წარსულს ინატრებს.
და მზე ელევა მის ბებერ სხივებს,
რადგან მის გულშიც გამოიდარებს,
წუთები კარგავს მის წამებს, ძლიერს
ვერ დაბრუნდება, ვერცერთი ისევ.
კალაპოტია მდინარის გზაი
და თუ დაკარგა ყველა მორევი,
სიცოცხლე არის ადამთა არსი,
სიკვდილი კიდევ მის ზარს მოელის.
მზე კი კაშკაშა რომ ჩაბნელდება,
რომ დაბნელდება მთელი სამყარო,
არ დაგვავიწყდეს ჩვენ ერთმანეთი,

აქა, რომ ვხარობთ, იქაც ვიხაროთ,
ჩვენ თუ ერთმანეთს კვლავაც შევხვდებით,
ვიცი ამ სიტყვებს ვიტყვით იმ დროში,
ჩვენ იმ ქვეყანას ერთად მოვივლით,
ერთად მოვივლით და გავფრინდებით!

25.03.2015

მიძღვნები

დეიდის ოჯახს

წახვედით თქვენ და კვლავ დამწყდა გული,
დამთავრდა ტკბილი დღეები,
როდის დადგება ნანატრი წუთი,
რომ კვლავ ჩაგეხუტოთ თქვენ...
ჩამოხვალთ გულს უხარია,
წახვალთ და მოვიწყენთ ჩვენ,
როგორ მიყვარხართ ჩემო კეთილებო,
ნეტავი იცით ეს?
ძია, დალიკო, ნესი და დაჩი,
უზომოდ მენატრებით მე,
დეიდა, შენ ხომ ჩემი გული ხარ,
გული, რომელიც ცემს.

01.09.2014

მოეფერეთ დედებს

სანამ დროა სულ ეფერეთ დედებს,
მისი სიტყვა ხშირად დაიჯერეთ,
მის თვალეში როცა სევდა გაიჟღერებს,
ეცადეთ, რომ ის პრობლემა დაავიწყდეს.
თუ გინდათ, რომ დედებს მიეფეროთ,
ნუ გრცხვენიათ, მიეფერეთო, მიეფერეთ,
გაიზრდებით, თქვენც გახდებით დედაც, მამაც,
შეწუხდებით, ჩემს შვილს ჩემი სრცხვენიაო.
და მიხვდებით როგორია დედის სევდა,
როგორია დედის გული,
როგორია შვილის ყოლა,
ეს როგორი საწვალებო.

29.11.2012

ღედის ამაგი

ღედის რძესავით ტკბილი,
ღედის ალერსი დიდი,
ღედის ცქერაზე ტკბილი,
ღედის ამაგი დიდი.
 ნამტირალებსა დედას,
 წითელი ცრემლი სდიოდა,
 აქა-იქითა წამები,
 შვილის ლოდინში ქრებოდა.
საცოდავია ისინი,
ვისაც ცანია ეპარა
ბედი გაუქრა საცოდავს,
ეპარა გული დასწყვიტა.

28.11.2012

დედას

დედა, საყვარელო
დღეს 25-ია აგვისტო,
მე მოგილოცავ დაბადების დღეს,
მიყვარხარ ძლიერ, ჩემო დედიკო.

25.08.2013

დედა

სულ შენთან ვიქნები, ო, დედა, დედა,
ერთად დავითვლით ცაზე ვარსკვლავებს,
სულ ერთად ვიქნებით, ო, დედა, დედა,
მე შენ მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე.
რა ტკივილია შენი დაკარგვა...
შენ ხარ ტკივილი ჩემი, შენ ხარ ოცნება ჩემი,
შენ ხარ სიცოცხლე ჩემი, შენ ხარ მზე ჩემი,
შენ ხარ დედა ჩემი, რომლის დაკარგვაც მეშინია.
არ ვიცი, რა იქნებოდა თითოეული წუთი უშენოდ,
მე შენ მიყვარხარ, დედიკო. შენ ხარ ტკივილი ჩემი,
შენ ხარ ოცნება ჩემი, შენ ხარ სიცოცხლე ჩემი,
შენ ხარ მზე ჩემი, შენ ხარ ჩემი...

26.10.2012

მამას

როდესაც მე დავიბადე
და გავიზარდე ალალი,
ჩემი ბავშვობა ლამაზი,
გამახსენდება ყოველთვის.
მე მიყვარს ჩემი უტკბესი
და საყვარელი მამიკო,
მამიკო შენ გენაცვალე
თბილი და ტკბილი ალერსით.
გავიზარდე და ლექსსა ვწერ,
და მამას ვუძღვნი ამ სიტყვებს,
მე შენ მიყვარხარ, იცოდე,
ათასჯერ გეტყვი ამას შენ.

13.02.2014

ჩემს ძმას

7 წლის ბავშვის 7 მაისი,
ჩემი ძმასავით ოქროს აისი,
როცა ახდება ოქროს მაისი,
პეპლები მუდამ თავს ტრიალებენ.
როგორც მაისი, როგორც მაისი,
7 მაისი როგორც იბადე,
7-მა მაისმაც გადაგვიქროლა,
ძმავ, გილოცავ დაბადების დღეს.
გუკა! მიყვარხარ მუდამ ...

2012 წ.

პაპებს

მე ვენაცვალე ჩემს პაპებს,
და მათ სიცოცხლის წლებს,
ძალიან მიყვარხართ ჩემო პაპებო,
გურამ, ნიკოლოზ თქვენ!

თქვენ ჩემი სიცოცხლეები
და სინარულები ხართ,
ღმერთმა მიცოცხლოს პაპები,
რომ გამახარონ კვლავ.

2014წ

სოფიკო ბებიას

მე ყველა ბებოს მივულოცავ დაბადების დღეს,
მე მივულოცავ ჩემ ბებიას ამ დიდ დღეობას,
სოფიკო ბებო, გილოცავ და ვამბობ:
მრავალი მოგველოცოს 6 სექტემბერი,
6 სექტემბერი ისევ ვადღეგრძელოთ,
შენ ჩემო თბილო და ტკბილო,
გილოცავ დაბადების დღეს
ჩემო სოფიკო ბებო!

2013 წ.

ნესტანი ბებიას

ჩემო ლამაზო ბებია,
გილოცავ ამ ლამაზ დღეს!
იხარე, იბედნიერე,
ჩემო ბებიკო შენ!
დღეს არის შენი დღეობა
და ბევრს გისურვებ, ბევრს,
მრავალი წელი იცოცხლე,
ნესტან ბებიკო შენ...!

11.01.2014 წ.

ქალი

მისეირნობს მარტოდ-მარტო ქალი,
და მას ჰქვია ნესტან-დარეჯანი,
მისეირნობს ნაზად, ლაღად ქალი,
და მას ჰქვია ნესტან-დარეჯანი.
მისეირნობს საღამოსა ქალი,
და მას ჰქვია ნესტან-დარეჯანი,
მისეირნობს რა ლამაზად ქალი
და მას ჰქვია ნესტან-დარეჯანი.

27.07.2014

სისხლი და ალალი

ქვეყანა თითის ტოლაა,
ლამაზ გვირილის კონას ჰგავს,
ქვეყანა მხიარულია,
როცა ყველა ჩვენ ერთად ვართ.
როცა სისხლი და ალალი,
ერთად ჭამს, სვამს და იძინებს,
ჩემი ბიძა და ბიცოლა,
ღმერთო დალოცე, ამრავლე...
მამიდები კი ამ ქვეყნად,
თავის ოჯახებით ახარე,
მამიდაშვილები გაზარდე,
სიხარულებით აავსე.
დიდი ბებიები მიცოცხლე,
და ერთად ყველა გვახარე.
ქვეყანა მხიარულია,
როცა ყველა ჩვენ ერთად ვართ!

16.02.2015

სარჩევი

არ გვიწერია გადაშენება	
გადაჰქროლავს	
აღმაფრთოვანე	
საქართველო	
ქართველი ქალი	
საქართველოს დროშის ქვეშ	
ქართველთა რწმენა	
ღმერთმა თუამც...	
ღმერთისგან მოდის	
ჰატარა სიზმარი	
იქნებ საღმე...	
ნუ გეშინიათ	
ზოგი იმდენად ბევრია	
ჩემს ქუჩაზე ერთი ცხენი	
რომ ჩაგისტებათ	
ლოდინი	
ვარდები	
გულის ტეხილებს	
ღამე და ზღვა	
სევდის ნატამალი	
მზიანი ღამე	
იასამნები	
ელვა	
ძალა	

მოხუცი
 სიბერე
 ზღაპარი
 ნუ შეგშურდებათ
 ჟაცი მართლებით
 იცი
 გული და ტახობა
 ზღვასთან განშორება
 გალავანი
 გულწარმტაცი
 სიზმრად გნახე
 მიყვარხარ
 ვფიქრობ
 ცხოვრება
 როცა...
 თავს შეგაყვარებს
 ბევრზე ბევრია
 ახალი წელი
 უფალო შეგვიწყალებ
 დილა
 სიცოცხლე
 არსება
 თოვა
 გავფრინდებით

მიძღვნი

დეიდის ოჯახს

მოეფრეთ დედებს

დედის ამაგი

დედას

დედა

მამას

ჩემს ძმას

ჰაჰებს

სოფიკო ბებიას

ნესტანი ბებიას

ქალი

სისხლი და ალალი